

რუსუდან ჩოლოყაშვილი
(საქართველო)

უძველესი ქართული ჯადოსნური ზღაპარის –
„ანანას“ გენეტიკური საფუძვლები

„ჯადოსნური ზღაპრები, რომელთა მთავარი გმირიც ქალია, გაცილებით ადრინდელია, ვიდრე ზღაპრები რომელთა გმირიც ვაჟია. ქართულ და საერთოდ სხვა ხალხთა ჯადოსნურ ზღაპარებშიც ქალი საკმაოდ ძლიერი ფიგურაა. განურჩევლად იმისა, მთავარი გმირია ის თუ – არა და მას ვაჟზე მეტი მაგიური ძალა მიენერება“ (ჩოლოყაშვილი 2004: 26). ამ მოსაზრებას ადასტურებს ზღაპარი „ანანაც“ (რაზიკაშვილი 1951: 114-116), რომელშიც მრავალი არქაული მოტივია შემორჩენილი და საკრალური მნიშვნელობის ფაქტების სიუხვით იმ ჯადოსნურ ზღაპრებშიც კი გამოირჩევა, რომელთა მთავარი გმირიც ქალია. აქ ერთად არის თავმოყრილი ის უძველესი მოტივები, რომლებიც სხვადასხვა ზღაპრებში გაფანტულად გვხვდება და რამდენიმე ისეთიც იჩენს თავს, როგორიც სხვაგან არ გვხვდება.

ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც ამ ზღაპარს გამოარჩევს როგორც უძველესს, არის ის, რომ ხელმწიფის ვაჟი საცოლეს ნადირობის დროს კი არ პოულობს ველზე ან ტყეში, არამედ საკუთარ ბაღში: „ხელმწიფის შვილს ჰქონდა ერთი ბაღი. ბაღში მწვანის ორი კვალი ჰქონდა გავლებული, ერთ კვალში ეთესა პრასი და მეორეში – კამა. ერთხელ... კვლებში ქალაღდი ეგდო“, ზედ დაწერილი ვერ წაიკითხა. „ქალაღდი ქალად იქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ იმაზე მშვენიერს კაცის თვალი ვერაფერს ნახავდა“ (რაზიკაშვილი 1951: 114). მცენარედ მეტაფორფობის უნარი ჯადოსნური ზღაპრების ქალი გმირებისათვის უცხო არ არის. მაგალითად, „სამი დის“ ზღაპარში: უმცროსი და ხიდან „ცრემლად და სისხლად ჩამოიღვარა მიწაზე. სადაც იმისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ისეთი ლერწამი ამოვიდა, როგორც ტყე, ათასნაირი ყვავილი და ბალახი გაიშალა“ (ღლონტი 1964: 13), მაგრამ მცენარეთა კვალში ნაპოვნი ქალაღდის ქცევა ქალად სხვაგან არ გვხვდება; ეს ზღაპარი გამონაკლისია იმიტომ, რომ აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქალი მცენარის შვილია – პრასის გვარისა. ამ ზღაპრის ვარიანტში „პრასა და ნიახურის ქალი“ კი გულთმისანმა და მოლაპარაკე ცხენმა ხელმწიფის ვაჟი წაიყვანა საცოლის შესარჩევად. როგორც დარიგებული იყო, ცხენს „გადაჰკრა ყმანვილმა მათრახი და... თვალგადაუნვდენ მინდორზე გაჩნდნენ. მინდორზე ცხრა ადლი თოვლი დევს, შუა ადგილზე თოვლზე ხელსახოცის ტოლად, ცხრა ადლი ბალახია ამოსული. ბალახზე კიდევ ცხრა ადლი თოვლი იდო“. ცხენმა უთხრა ყმანვილს: „–ხელით რამდენი ბალახის მოგლეჯაც შეძლო, მოგლიჯე და ჯიბეში ჩაიდე ... ეს ბალა-

ხი დაანყო ოქროს ლანგარზე და აჩვენე შენს დედ-მამასო ... დაანყო ყმანვილმა ლანგარზე ბალახი და იქცა ბალახი მზეთუნახავ ქალად. ქალს ჰკითხეს: – რა ხარ, რა სულიერი, როგორ გაჩნდიო? ქალმა უთხრა: – პრასა და ნიახურის ქალი ვარო... ხელმწიფემ და ხელმწიფის ცოლმა უარი უთხრეს შვილს: – უბრალო ბალახის ქალს ვერ შეგერთავთო. სხვა ხელმწიფის ქალზე დასწერეს ჯვარი (ვირსალაძე 1958: 129-130). ქართული ჯადოსნური ზღაპრის მთავარი გმირი ვაჟები ხშირად არიან ცხოველები: რაშის, დათვის შვილები; ირმის ძუძუთი გაზრდილები; ცხვრის ტყავით შემოსილები, მაგრამ მცენარის შვილი იყოს ზღაპრის გმირი, ეს საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა ქართულ ზღაპარში. ასეთი გამონაკლისია მხოლოდ – ვაშლის შეჭმით უშვილო ცოლ-ქმარს რომ შეეძინება ვაჟები.

გამონაკლისია ისიც, ხელმწიფის შვილი ქალს გვარიშვილობით რომ იწუნებს. მაგალითად, „ანანაში“ ხელმწიფის შვილმა მშვენიერი ქალის შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ ქალმა უთხრა: „-გვარი მაქვს პრასისა და კამის სარტყელი მარტყია (ე.ი. სამკაულიც მცენარეულისა აქვს და არა – ძვირფასი ლითონისა თუ ძვირფასი თვლებისა – რ. ჩ.), ერთი საწყალი ქალი ვარო. ხელმწიფის შვილი ადგა, ანანას თავი დაანება და სხვა ცოლი შეირთო“. სხვა ზღაპრებში ხის ფულუროში ან ტყეში პოულობს ხოლმე ქალს ვაჟი, მაგრამ ამის გამო ხელმწიფის შვილის მიერ ქალის დაწუნება არ ხდება. პირიქით, ეს ფაქტი სხვაგან ღირსებადაც კი ითვლება. ზოგან ხელმწიფის შვილის მშობლები ტყის ქალს რძლად არ ინდომებენ ხოლმე, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ემინათ, ქაჯი არ იყოსო. ასეთი შემთხვევები ზღაპარში არის, თუნდაც „ეთერიანის“ ეპოსში, მაგრამ ამ საბაბითაც კი ისინი თავიანთ მიზანს ვერ აღწევენ და ხელმწიფის შვილს ქორწინებაზე უარს ვერ ათქმევენებენ.

საერთოდ ზღაპარში არც მისი გმირის სიყვარულზე და არც სხვა გრძობებზე კეთდება აქცენტი. არ არის სიყვარულის თემა ზღაპრისთვის ნიშანდობლივი, თუმცა „ანანაში“ ვკითხულობთ: „ანანას კი უყვარს ხელმწიფის შვილი, უყვარს საშინლად“. ეს პასაჟი უძველესია ზღაპარში, გამონაკლისის სახეს ატარებს და როგორც ო. მ. ფრეიდენბერგი აღნიშნავს, „სიყვარულის თემატიკა თავისი გენეტიკური მნიშვნელობით წარმოადგენს მინათმოქმედების ნაყოფიერებისადმი განკუთვნილს“ (ფრეიდენბერგი 1936: 129). ე.ი. ის გამოხატავს მინათმოქმედების ღვთაებათა ურთიერთდამოკიდებულებას.

„უბრალო“ გვარის მიუხედავად ფაქტია, რომ ანანა არაჩვეულებრივი არსებაა, მას ირმები და, სხვა ვარიანტის მიხედვით, ფრინველებიც ემორჩილება: „დაიბარა მთიდან ირმები ანანამ, დაწველა, ჩაასხა ქვაბში, ჩაჯდა შიგთვითონ, დულს რძე და იბანება შიგ ანანა“. ამ ზღაპრის ვარიანტიც „პრასა და ნიახურის ქალი“ ანანამ ხელი მალლა აიშვირა და ორმოცი ირემი მოვიდა. ქალმა ორმოცივე ირემი თავისი ხელით დაწველა, მოატანინა დიდი ქვაბი, შედგა ცეცხლზე. დულს რძე“ (ვირსალაძე 1958: 131). „ანანაში“ რძე უცეცხლოდ დულდა, რაც ასევე გამონაკლისი შემთხვევაა. აქ თუ გაუნელებელ მდულარე რძეში ებანება ქალი, „პრასა და ნიახურის ქალში“ ის ნეკის ბეჭდის გაყოფით ანელებს რძეს, თუმცა მაინც „ჩაჯდა ქალი შიგ, თან ბანაობდა, თან დულდა რძე. მნახ-

ველებს დიდად გაუკვირდათ“. ხელმწიფის რძალმაც იგივე მოინდომა: – განა მე ვერ შევძლებო?! და „სულ ჩაიფუფქა“ (ვირსალაძე 1958: 131). ე.ი. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ანანა ჩვეულებრივი მოკვდავი არ არის, თუნდაც ხელმწიფის ცოლისაგან განსხვავებით. ქალი თავად იბარებდეს ირმებს, მზის მეტაფორ-მოფოზულ სახესხვაობებს, და ისინიც უპირობოდ უსრულებდნენ სურვილს, სხვა ზღაპარში არ ჩანს. არც ირმის მდულარე რძეში ბანაობის მოტივი გვხვდება სხვაგან. ამის ძალა ერთადერთს შესწევს, მნათობის ასულს და ზღაპრის დასასრულს პირდაპირ არის კიდევ ნათქვამი, რომ ის მზისა და მთვარის შვილია. ე.ი. ეს სახე მითოსიდან მომდინარეობს და გენეტიკურად თავადაა ღვთაება – ღვთაებრივი მშობლების შვილი. ამიტომაც არის, რომ მის წარმოშობას დიდი შემომწმება არ სჭირდება და სხვა ზღაპრების მსგავსად მას ოჯახის წევრები (უფროსი დები, მშობლები, დედინაცვალი თუ გამზრდელი) არ უპირისპირდებიან. ამ ზღაპრის უძველესობაზე ისიც მეტყველებს, რომ მზეა ანანას დედა და არა – მამა. ცნობილია, რომ წარმართობის ადრეული პერიოდის რწმენის მიხედვით მზე ქალღვთაებად ითვლებოდა და მისი ვაჟად გააზრება მოგვიანებით მოხდა. ამ ზღაპრის ღვთაებრივი გმირის ყოვლის შემძლეობა იქიდანაც ჩანს, რომ მას ირმების მოხმობის გარდა ფრინველების დაბარებაც შეუძლია. ე.ი. ის ფრინველთა და ირემთა პატრონია და მათი გამგებელი. ისინი კი მნათობთა არსებანი არიან, მზის მეტამორფოზული სახესხვაობანი. ე.ი. ამ ზღაპრის გმირი ანანაც, ყველა ნიშნის მიხედვით, მნათობთა წრის წევრია. ამაზე მიუთითებს მისი მდულარე რძეში ბანაობის შესაძლებლობაც. რძე, მითუმეტეს ირმის რძე, მზესთან არის ასოცირებული. ეს ფაქტი ენაშიც არის ასახული – ქართულ ენაში ამ ორი სიტყვის მსგავსების გარდა, მეგრულში ხომ მზეც და რძეც ერთი სიტყვით გადმოიცემა – „ბჟა“, ხევსურულში კი „მზის ცვარი“ რძეს ნიშნავს (მოსია 2006: 143). მხოლოდ „ანანაში“ გვაქვს ირმის რძეში ბანაობასთან საქმე. სხვა ზღაპრებში რაშების რძეზეა საუბარი. რაშიც ხომ მზის არსებაა და მზის მეტამორფოზულ სახესხვაობად ითვლებოდა, მითოსური გააზრებით. ე.ი. ორივე შემთხვევაში ქალის რძეში ბანაობისას მზეში წრთობასთან უნდა გვქონდეს საქმე. რაშის რძეში ჩასვლისას რაში ერთგულ პატრონს სულის შებერვით უგრძობებს მდულარე რძეს და ასე ეხმარება წარმატების მიღწევაში მაშინ, როდესაც გმირის მეტოქე დამოუკიდებლად ამ გამოცდას ვერ უძლებს და იღუპება.

ფრინველების მოტივი ზღაპარ „ანანაში“ თუ დაკარგულია და არა ჩანს, ის გვხვდება მის ვარიანტში „პრასა და ნიახურის ქალი“: ამ „ხელმწიფის რძალი და პრასა და ნიახურის ქალი გავიდნენ გარეთ. პრასა და ნიახურის ქალმა ხელი აიღო მალლა და რაც ქვეყანაზე ფრინველი იყო, სულ იქ მოფრინდა. გასჭიმა აბრეშუმის შულო, ფირფიტები მისცა ფრინველებს, ფრინველები თან აბრეშუმის ძაფს ახვევდნენ, თან თავიანთ ენაზე გალობდნენ. პრასა და ნიახურის ქალი ოქროს ზოდით უსწორებდა, რომელთაც დაენწებოდათ ძაფი. მთლად ქალაქში მცხოვრები ხალხი მოვიდა საყურებლად და უკვირდა. სხვა არაერთ ჯადოსნურ ზღაპრებში ჩანს, რომ ირმებიც და ფრინველებიც მთავარი გმირი ქალის

მეტამორფოზული სახესხვაობანი არიან. მაგალითად, ნადირობის ციკლის ზღაპრებში, როცა მონადირეს გაუჭირდება ირმის ან ფრინველის მონადირება და მის მოსაპოვებლად დიდ სირთულეებს გადალახავს, ისინი ბოლოს უმშვენიერეს ქალებად გარდაისახებიან ხოლმე. ირემს ტყის საშიშ დედაბრადაც შეუძლია გარდასახვა და დროებით მონადირის დამორჩილებასაც კი ახერხებს.

„ანანაში“ ხელმწიფის რძალმა უთხრა დედამთილ-მამამთილს: „–რას გიკვირთ, განა მე ვერ გავასწორებ ძაფს ოქროს ზოდითო?! პრასა და ნიახურის ქალმა მისცა ეს ზოდი. პატარძალმა დაიჭირა თუ არა, ხელში ვერ დაიმაგრა, გაუვარდა, დაეცა მუხლებზე და ორივე მუხლი დაემტვრა. სამ დღეს უკან გარდაიცვალა“ (ვირსალაძე 1958: 130). მდულარე რძეში ბანაობისასაც ორივე ვარიანტის მიხედვით ილუპება ხელმწიფის რძალი. მან დაიქაღნა: „–განა მე ვერ ვიზამ მაგასო?! ფურები დაიბარა, რადგან ირმები არ ჰყავდა, დანველა, ჩაასხა რძე ქვაბში, აადულა და ნავიდა... მოიხარშა შიგ“ (რაზიკაშვილი 1951: 165). დაქვრივებულმა ხელმწიფის შვილმა ისევ იკითხა ანანას გვარი და იგივე პასუხი მიიღო. „დაინუნა ისევ გვარი ხელმწიფის შვილმა, სხვა ცოლი შეირთო. ნავიდა ანანა, დაჯდა მაღლა სართულზე, აიტანა თითისტარი და დაიწყო აბრეშუმის რთვა. უცებ კვირისტავი გადმოუვარდა. მოიჭრა ანანამ ცხვირი, ჩაგზავნა და აატანინა კვირისტავი. მერე ცხვირი ისევ მიიბა“. გარდა იმისა, რომ თითისტარის ხმარება უძველესი მოტივია ზღაპარულ ეპოსში, სხეულის ნაწილის მოჭრა და უსისხლოდ მისი ისევ მიმაგრება ერთადერთი შემთხვევაა ჩვენი ზღაპრული ეპოსისათვის. ეს რთული ამოცანაც ანანამ მხოლოდ ხელმწიფის შვილის ახალი ცოლის გამოსაცდელად გააკეთა, მისი არაღვთაებრივი ბუნების წარმოსაჩენად. ხელმწიფის შვილის ამ ცოლმაც თქვა: – მეც შევძლებო და მართლაც ცხვირი მოიჭრა. იდინა სისხლმა და მოკვდა. ე.ი. არაღვთაებრივმა ვერ გაუძლო ანანას ვერც ერთ გამოცდას, ვერ გაიმეორა მისი ნამოქმედარნი, რადგანაც ანანა ჩველებრივი მიწიერი არ იყო და გენეტიკურად მითოსიდან გამოსული ღვთაებრივი წარმოშობის არსებას წარმოადგენდა. ამაზე ანანას მცენარეული წარმოშობა, გვარი, მის ხელში ოქროს ზოდი და თითისტარიც მეტყველებდა, რომელთაც თავისუფლად ფლობდა და რომლის ხმარებაც მხოლოდ ღვთაებათ ხელეწიფებოდათ. სწორედ ამ ხელსაწყობის მეშვეობით ართავდნენ ღვთაებანი სამყაროს ბედისწერას. ე.ი. ანანა თავისი ქმედებებით ადასტურებს, რომ ყოველივე ამის შემძლე დესაკრალიზებული ღვთაებრივი არსებაა. ღვთაებათათვის კი შეუძლებელი არაფერია – ცხვირსაც მოიჭრიან, რომელსაც სისხლი არ დაედინება და თავიანთ გასაკეთებელსაც გააკეთებინებენ. დიახ, ღვთაებრივი არსება უკვდავია და მისი ყოველი ნაწილი დამოუკიდებლადაც კი, თავად ღვთაების ძალისა და შესაძლებლობების მატარებელია. ანანაც, მითოსური ტრადიციის მიხედვით, ამარცხებს ხელმწიფის შვილის ცრუ ცოლებს, მესამე ცდაზე აღწევს რა სასურველ მიზანს, როცა მოიპოვებს კუთვნილ ადგილს სასახლეში და შესაბამისად მთელს სამყაროში.

ეს ზღაპარი იმითიც არის გამორჩეული, რომ მისი მთავარი გმირი თავის მეტოქეებს ხელშეუხებლად ამარცხებს, რომელნიც მხოლოდ ანანას მიმ-

ბაძველობით იღუპებიან. ანანა, როგორც აღვნიშნეთ, მესამე ცდაზე ხდება ხელმწიფის შვილის ცოლი. მესამედ მოპოვებული გამარჯვება კი მითოსისა და ზღაპრული ეპოსისათვის, როგორც წესი, საბოლოოა და მარადიული. ამ მარადიულობას კი მისი ღვთაებრივი ბუნება განაპირობებს. ზღაპრის დასასრულს ხომ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ის ასტრალური ღვთაებების მზისა და მთვარის შვილია, ვარსკვლავები კი მისი ძმები არიან (ზღაპარ „ანანაში“ „ძმის“ ნაცვლად „მზეს“ ვკითხულობთ, რაც კორექტურა უნდა იყოს). „პრასა და ნიახურის ზღაპარში“ ხელმწიფის შვილმა ქალის გამოცდა გადანწყვიტა, „გულით ვუყვარვარ თუ არაო. სიკვდილს მოვიგონებ... ვნახოთ, რას იზამსო?... მისი კუბო მიასვენეს ეკლესიაში. პრასა და ნიახურის ქალი ნიოკით შევარდა ეკლესიაში, კუბოს დაეკონა, მერე კუბოს წინ დაიჩოქა და შესთხოვა: – მზევ და მთვარევ, თქვენ ხომ ჩემი დედ-მამა ხართ, გამიცოცხლეთ საყვარელიო! ხელმწიფის შვილი წამოდგა და მაშინვე ჯვარი დაინერა პრასა და ნიახურის ქალზე“ (ვირსალაძე 1956: 131).

ეს დასკვნითი მოტივი ზღაპარ „ანანაში“ უფრო შთამბეჭდავად არის გადმოცემული ვიდრე მის ვარიანტში: „ხელმწიფის შვილმა მესამედ ჰკითხა ქალს გვარი და როგორც უბრალო ისევ დაინურა. მერე უკვე მელორეს დააკვლევინა ღორი და იმისი სისხლით მოთხუპნული ანანას წინ დადეს. ამის დანახვაზე ანანამ შესძახა:

– მზეო, დედავ, მამავ – მთვარევ,
ვარსკვლავებო, ჩემო ძმებო,
ჩამოუშვით ოქროს ტახტი,
აღარა გვყავს ხელმწიფეო!

გაათავა თუ არა ეს სიტყვები, გაიხსნა ცა და იქიდან ჩამოუშვა ოქროს სკამი. ადგა ხელმწიფის შვილი და მოეხვია ანანას, დაუნყეს ერთმანეთს კოცნა და სურვილება. გახდნენ ცოლი და ქმარი და დასხდნენ ოქროს სკამზე“ (რაზიკაშვილი 1951: 116).

ასე პირდაპირ იყოს ზღაპარში ნათქვამი, რომ ზღაპრის მთავარი გმირი ღვთაებათა – მზისა და მთვარის შვილია (რაზიკაშვილი 1951: 116; ვირსალაძე 1958: 131) “ანანასა” და მისი ვარიანტის გარდა სხვაგან არ გვხვდება და გამო-ნაკლისი შემთხვევაა ქართული ზღაპრული ეპოსისათვის.

ამ ზღაპრის მთავარი გმირის გენეტიკურად ღვთაებრივ წარმომავლობაზე მეტყველებს არა მარტო მისი შესაძლებლობები – ირემთა და ფრინველთა პატრონობა, აბრეშუმის ძაფის დახვევა, თითისტარის ხმარება, ასტრალურ ღვთაებათა შვილობა, არამედ მისი ფუძეგაორმაგებული საკუთარი სახელი “ანანაც”. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ქართულ ფოლკლორში (ზღაპრებში. გამოცანებში, შელოცვებში, საბავშვო პოეზიის ნიმუშებში) ფუძეგაორმაგებული საკუთარი თუ დღეისათვის აზრს მოკლებული სიტყვების შესწავლის შედეგად ადრე მიღებული დასკვნა, რომ ისინი, თავდაპირველ

მნიშვნელობათა დავინყებამდე, გარკვეულ უძველეს ღვთაებათა თუ კერპთა სახელები უნდა ყოფილიყო (ჩოლოყაშვილი 2009: 57-81). ზღაპარ „ანანას“ შესწავლისას ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ მის დასასრულს არ ჩანს, ბედნიერ წყვილს მემკვიდრე – ოქროსქოჩრიანი ვაჟი რომ შეეძინა. რაც ერთადერთი შემთხვევაა ჩვენს ჯადოსნურ ზღაპრულ ეპოსში და კიდევ ერთი დასტურია ამ ზღაპრის უძველესობისა.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ამ ზღაპრის უძველესობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ლექსი, რომელიც ამ ნაწარმოებში გვხვდება, არც დასაწყისის ფორმულაა ზღაპრისა და არც – დასასრულის, რომლებიც ძირითადად შემორჩა ზღაპრებს, მასში სიუჟეტის განვითარება ჩანს, თანაც მისი დასკვნითი და შემაჯამებელი ეტაპი. როგორც ვიცით, თავდაპირველად უძველესი ზღაპარი ლექსად ითქმებოდა და მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევებშია მისი ფრაგმენტები შემორჩენილი ჯადოსნური ზღაპრების სიუჟეტის განვითარებისას. რაც ასევე სხვა ყველაფერთან ერთად ამ ნაწარმოების განსაკუთრებულ სიძველეზე მიანიშნებს. ყოველივე ეს კი ძირითადად იმ ზღაპრებისათვის არის ნიშანდობლივი, რომელთა მთავარი გმირიც მეტაფორფოზის უნარის მქონე ქალია. ამდენად, ყველა აქ ჩამოთვლილ ნიშანთა საფუძველზე ზღაპრები „ანანა“ და მისი ვარიანტი „პრასა და ნიახურის ქალი“ თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს უძველეს ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებად.

დამონმბანი:

- Choloq'ashvili, R. *Udzvelesi Rts'mena-ts'armodgenebis K'vali Zghap'rul Ep'osshi*. Tbilisi: gamomtsemloba "nek'eri", 2004 (ჩოლოყაშვილი რ. *უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ზღაპრულ ეპოსში*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2004).
- Choloq'ashvili, R. *Zghap'ari da Sinamdville*. Tbilisi: gamomtsemloba "nek'eri", 2009 (ჩოლოყაშვილი რ. *ზღაპარი და სინამდვილე*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2009).
- Freidenberg O.M. *Poetika Syuzheta I Zhanra Perioda Antichnoi Literaturi*. Leningrad: 1936 (Фрейденберг О.М. *Поэтика сюжета и жанра периода античной литературы*. Ленинград: 1936).
- Ghlonti, A. (shemdgeneli). *Khalkhuri Sibrdzne*. II. *Kartuli Zghaprebi*. Tbilisi: gamomtsemloba "nakaduli", 1964 (ღლონტი ალ. (შემდგენელი). *ხალხური სიბრძნე*. II. *ქართული ზღაპრები*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1964).
- Mosia, B. *Kartuli Folk'loris Sakhismetq'veleba*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 2006 (მოსია ბ. *ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2006).
- Razik'ashvili, T. (shemk'rebi). *Kartuli Khalkhuri Zghap'rebi*. I. Tbilisi: gamomtsemloba "sakhelgami", 1951 (რაზიკაშვილი თ. (შემკრები). *ქართული ხალხური ზღაპრები*. I. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1951).
- Virsaladze, E. (shemdgeneli). *Rcheuli Kartuli Khalkhuri Zghap'rebi*. II. Tbilisi: gamomtsemloba "sakhelgami", 1958 (ვირსალაძე ე. (შემდგენელი). *რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები*. II. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1958).

Rusudan Cholokashvili
(Georgia)

The Oldest Georgian Magic Fairy Tale – “Anana”. Genetic Basis

Summary

Key words: “Anana”, magic fairy tale, metamorphosis.

The magical fairy tales, the main character of which is women, are of much earlier periods than fairy tales whose hero is a man. In the magical fairy tale, the woman is a strong figure. Regardless of the fact is she the main character or not – she is attached more magical power than man. This idea is confirmed by the fairy tale “Anana”, in which many archaic motives are preserved and are rich in the facts of sacred significance, even in magic fairy tales, the main character of which is female. Here the son of the king does not find him in the forest, but in the garden where the leaf and dill are sown. There was a leaflet. She was very beautiful; the metaphor depicting female to be the plant is not strange for the female characters of magic fairy tales. For example, it turns out to be a sprout, a grass, or a leek. Here, on the contrary, the woman is the son of a plant – leek and dill woman. In this fairy tale, the “Woman of leek and dill” says that snow is lying on the field on the grass. The young man watched this grass on the golden trunk and turned the grass beauty into the hair. The woman said: – I am a girl and a cousin. The juror and the wife of the junior did not give a simple grass to the girl, the other woman wrote a cross. The hero of the fairy tale is the son of the plant is quite rare.

Despite the “simple” origin, Anana is an unusual creature, the deer and the birds obey her: “Ana Dama dried from the mountain, laid it in a boiling pot, sat inside and drank the milk and squeeze it in the mouth. ‘The daughter of the junior also wanted to do the same.’ Can I not be able to do that? ‘ And the whole thing is gone. This fact proves that Anana is not an ordinary mortal. The woman herself called the deer, the metaphorphosed foliage of the sun, and they were unconditionally fulfilling her desire, not in another fairy tale. The power of this is the only one, the daughter of the Astral goddess and the end of the fairy tale is said to be the son of the sun and the moon. Ie This face is a genetically derived god from mythology – the son of divine parents. The ancient story of this fairy tale indicates that the sun is Anna’s mother and not the father. It is known that in the early period of pagan belief the sun was considered as the goddess and later thought to be his son. Besides the deer, he can also make birds cure. Ie He is the owner of birds and deer and their governor. These are considered to be the metamorphosis of the sun. Ie Anna is a member of the luminary circle according to all the signs. This indicates the possibility of bathing in his boiling milk. Milk, especially deer milk, is associated with the sun. This fact

is also reflected in the language – except in the Georgian language, similar to those two words, in Megrelian, the milk and milk are given in one word – “Bjaa” and Khevsururi means “sunshine” milk (Mosia).

Anana called deer from the mountain, milked them, sat in the pot, boiled herself there. ‘The daughter in law of the king also wanted to do the same.’ Can I not be able to do that? ‘And the whole thing is gone. This fact proves that Anana is not an ordinary mortal. The woman herself called the deer, the metamorphose difference was evident, and they were unconditionally fulfilling her desire, not in another fairy tale. The power of this is the only one, the daughter of the Astral goddess and the end of the fairy tale is said to be the son of the sun and the moon. This face is a genetically derived god from mythology – the son of divine parents. The ancient story of this fairy tale indicates that the sun is Anna’s mother and not the father. It is known that in the early period of pagan belief the sun was considered as the goddess and later thought to be his son. Besides the deer, he can also make birds cure. Ie He is the owner of birds and deer and their governor. These are considered to be the metamorphosis of the sun. Ie Anna is a member of the luminary circle according to all the signs. This indicates the possibility of bathing in his boiling milk. Milk, especially deer milk, is associated with the sun. This fact is also reflected in the language – except in the Georgian language, similar to those two words, in Megrelian, the milk and milk are given in one word – “Bjaa” and Khevsururi means “sunshine” milk (Mosia). According to the fairy tale Anana, it is said that after appearing the leek and celery woman the whole bird flocks of the country gathered. The birds also accompanied the silk yarn and the woman was beaten with golden shields. Even if all of them are not able to do so, such attempts will be made to the victims. Ie What makes it easy for the divine origin is the death of the mortal man. Anana’s goddess nature speaks of her plant origin, her surname, her hands, a golden jacket and a fingerprints that are freely owned and used only by god. With the ancient belief – through these tools, the gods were destined to the fate of the universe. Ie Anana’s ability proves that all of these things are a descriptive divine being. And, according to mythos tradition, it will defeat false wives of the son of the junior and reach the third goal, to find the place in the palace and in the whole world. The victory that has thus won is ultimate and eternal for the myth and the fabulous epoxy, which is due to its divine nature,

At the end of the fairy tale it is said that Anana is the daughter of the sun and moon of astral gods, and the stars are his brothers. For instance, when the son of the junior had died to test a woman, Anana called her parents:

– Sun, mother, father – moon,
Dear brothers, my brothers,
Bring the golden throne,
We no longer have a king!

It’s so straight in the fairy tale that the main character of the fairy tale is the goddess of the sun and the moon, the fairy tale is nothing but the exception.

The genius of the main character of this fairy tale reveals not only the possibilities of his darling and the birds, the silk thread, the finger of the silk, the april of the goddess, but its original name itself. While studying the fairy tale “Ananas”, it is also important to note that at the end of his life, the happiest couple had a heir – a golden-cousin son. This is the only case in our magic fairy epoxy and one more confirmation of the fairy tale. This fairy tale is also distinguished by its main character who invariably invades his rivals, who only die in the psyche of Anana.

In ancient Georgian fairy tales, the fairy tale of the fairy tale indicates that the poem, which is found in this work, is not the beginning of the fairy tale and the end of the fairy tale. It is evident in the development of the story, and its concluding and final stage. As we know, it was originally the oldest fairy tale, and in rare instances its fragments were developed in the development of separate motifs of magic fairy tales. Which, in addition to all the other, indicates the special antiquity of this work. All this particularity is mainly for the fairy tale, the main character of which is a woman with a metaphor for skills.

Thus, the fairy tales «Anana» and its variant «Lee and creepy woman» can all be considered as the oldest Georgian magic fairy tales on the basis of all of these listed signs.